პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 22 ნოემბერი 1978 წ. № 272 (17316) ფასი 2 კაპ.

მახარაძე — გენიჩესკი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად მიესალმება და მხურვალედ ულოცავს საქართველოს სსრ მახარაძის რაიონისა და უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს ღირსშესანიშნავ თარიღს — სოციალისტური შეჯიბრების, შემოქმედებითი თანამშრომლობისა და მეგობრობის მე-40 წლისთავს.

ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა ნათელი დადასტურებაა საბჭოთა ხალხის ნამდვილი ინტერნაციონალიზმისა, რომელსაც საფუძვლად უდევს მთელი ჩვენი სინამდვილე, საბჭოთა ცხოვრების წესი. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, „ჩვენს ქვეყანაში იშვა და განმტკიცდა მათი ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, კლასობრივი ინტერესებისა და მიზნების ერთობით შეკავშირებული მშრომელი ადამიანების დიადი ძმობა, შეიქმნა ისტორიაში უმაგალითო ურთიერთობა, რომელსაც სამართლიანად ვუწოდებთ ხალხთა ლენინურ მეგობრობას“.

ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ძმური კავშირი დიდი რუსი ხალხის მეთაურობით განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების ძალისა და ძლიერების მაცოცხლებელი წყარო, მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნამდვილი ტრიუმფია.

მახარაძისა და გენიჩესკის რაიონებს მშრომელთა 40 წლის მეგობრობა და სოციალისტური შეჯიბრება, 40 წლის ნაყოფიერი თანამშრომლობა, მოწინავე საწარმოო გამოცდილების გაზიარება ერთობლივი შრომა და გამარჯვებებია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ზეიმისათვის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ეს თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის წმიდათაწმიდა — ინტერნაციონალიზმის გრძნობის წრთობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ძმური სოლიდარობის სულისკვეთებით ჩვენი ხალხის აღზრდის ოთხი ათწლეულია.

განვითარებული სოციალიზმის ქარტიაში — სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში დამკვიდრებული ხალხთა ურღვევი ლენინური მეგობრობის შემწეობით მახარაძისა და გენიჩესკის რაიონების მშრომელებმა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ყველა სფეროში მიაღწიეს შესანიშნავ წარმატებებს, რომლებითაც სამართლიანად ამაყობს მთელი ქვეყანა. ახალი ძალით გაჩაღდა შეჯიბრება, ახალი ძალით აელვარდა უკრაინისა და საქართველოს სოფლის მშრომელთა მეგობრობის ციცხლი იმ მაღალი შეფასების შემდეგ, რომელიც ამ მრავალი წლის, დროით ნაცად ძმურ თანამშრომლობას მისცა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა უკრაინის სს რესპუბლიკისთვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემისას.

ეს მაღალი შეფასება ახალ შრომითს წარმატებებს შთაგონებს შეჯიბრებაში ჩაბმული ორი რაიონის მშრომელებს ისევე, როგორც უკრაინისა და საქართველოს მოძმე რესპუბლიკებს მთლიანად, რაზმავს მათ სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის იანვლისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელებისათვის საბრძოლველად.

გულითადად ულოცავს რა საზეიმო კრების მონაწილეებს, და მათი სახით მახარაძისა და გენიჩესკის რაიონების ყველა მუშას, კოლმეურნეს, ინტელიგენციას მეგობრობის, ამხანაგური ურთიერთდახმარებისა და ძმური თანამშრომლობის მე-40 წლისთავს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი უსურვებს მათ კვლავაც მაღლა ეპიროთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა, ახალ-ახალ წარმატებებს მიაღწიონ მეათე ხუთწლედის მაღალი მიჯნების დალაშქვრაში, წმიდად დაიცვან და გააღრმაონ ჩვენი რესპუბლიკების ხალხთა ინტერნაციონალური ძმობა.

დაე მტკიცდებოდეს მოძმე საბჭოთა ხალხების ურღვევი ერთიანობა — მსოფლიოს პირველი მომწიფებული სოციალიზმის ძალისა და ძლიერების წყარო!

გაუმარჯოს ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

21 ნოემბერს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმი.

პლენუმზე მიწვეული იყვნენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ მინისტრები და სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები კაპიტალური მშენებლობის დარგში, მთელი რიგი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები და პარტიული კომიტეტების მდივნები, მეცნიერების მუშაკები, სამშენებლო წარმოების მოწინავენი.

პლენუმმა განიხილა, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები კაპიტალური მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის დონის შემდგომი ამაღლების საქმეში.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. გ. ვ. კოლბინმა.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ბ. ვ. ადლეიბა, თბილისგვირაბმშენის № 29 შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. კ. მ. ლიუბავსკი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. ნ. ა. ჯითანავა, საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ა. ვ. კოტბაიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ბ. დ. გაბუნია, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ამხ. ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. დ. რუხაძე, სსრ კავშირის მშენებლობის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი ამხ. ზ. ბ. გენძეხაძე, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ამხ. ნ. ა. მეძმარიაშვილი, საქართველოს სახმშენის თავმჯდომარე ამხ. ბ. ზ. მირიანაშვილი, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი ამხ. ი. ა. ხარატიშვილი, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის უფროსი ამხ. ა. ი. ბუაძე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. ი. ნ. ჩხენკელი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ამხ. ე. ე. კაპბა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ა. ასლანიკაშვილი, საქმთავარმონტაჟსპეცმშენის რუსთავის „მექანმონტაჟის“ სამმართველოს უფროსი ამხ. ა. ა. ავეტისოვი.

პლენუმზე გამოვიდა სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრი ამხ. ბ. ა. კარავაევი.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეებად დამტკიცდნენ: ამხ. ბ. ი. გვეტაძე — ადმინისტრაციული ორგანოებისა, ამხ. ვ. მ. ხინთბა — უცხოეთთან ურთიერთობისა, ამხ. დ. ლ. ქართველიშვილი — საგეგმო და საფინანსო ორგანოებისა, ამხ. შ. ზ. ბერიანიძე — ვაჭრობის და საყოფაცხოვრებო მომსახურებისა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ა. ვ. პოტაპოვმა. (საინფორმი).

დიადი ძმობა

საქართველოს სსრ მახარაძის რაიონისა და უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების მე-40 წლისთავთან დაკავშირებით მახარაძეში გამართული საზეიმო კრების მონაწილეებს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად მოგესალმებათ და მხურვალედ გილოცავთ საქართველოს სსრ მახარაძის რაიონისა და უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს ღირსშესანიშნავ თარიღს — სოციალისტური შეჯიბრების, შემოქმედებითი თანამშრომლობისა და მეგობრობის მე-40 წლისთავს.

ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა ნათელი დადასტურებაა საბჭოთა ხალხის ნამდვილი ინტერნაციონალიზმისა, რომელსაც საფუძვლად უდევს მთელი ჩვენი სინამდვილე, საბჭოთა ცხოვრების წესი. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, „ჩვენს ქვეყანაში იშვა და განმტკიცდა მათი ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, კლასობრივი ინტერესებისა და მიზნების ერთობით შეკავშირებული მშრომელი ადამიანების დიადი ძმობა, შეიქმნა ისტორიაში უმაგალითო ურთიერთობა, რომელსაც სამართლიანად ვუწოდებთ ხალხთა ლენინურ მეგობრობას“.

ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ძმური კავშირი დიდი რუსი ხალხის მეთაურობით განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების ძალისა და ძლიერების მაცოცხლებელი წყარო, მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნამდვილი ტრიუმფია.

მახარაძისა და გენიჩესკის რაიონებს მშრომელთა 40 წლის მეგობრობა და სოციალისტური შეჯიბრება, 40 წლის ნაყოფიერი თანამშრომლობა, მოწინავე საწარმოო გამოცდილების გაზიარება ერთობლივი შრომა და გამარჯვებებია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ზეიმისათვის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ეს თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის წმიდათაწმიდა — ინტერნაციონალიზმის გრძნობის წრთობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ძმური სოლიდარობის სულისკვეთებით ჩვენი ხალხის აღზრდის ოთხი ათწლეულია.

განვითარებული სოციალიზმის ქარტიაში — სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში დამკვიდრებული ხალხთა ურღვევი ლენინური მეგობრობის შემწეობით მახარაძისა და გენიჩესკის რაიონების მშრომელებმა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ყველა სფეროში მიაღწიეს შესანიშნავ წარმატებებს, რომლებითაც სამართლიანად ამაყობს მთელი ქვეყანა. ახალი ძალით გაჩაღდა შეჯიბრება, ახალი ძალით აელვარდა უკრაინისა და საქართველოს სოფლის მშრომელთა მეგობრობის ციცხლი იმ მაღალი შეფასების შემდეგ, რომელიც ამ მრავალი წლის, დროით ნაცად ძმურ თანამშრომლობას მისცა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა უკრაინის სს რესპუბლიკისთვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემისას.

ეს მაღალი შეფასება ახალ შრომითს წარმატებებს შთაგონებს შეჯიბრებაში ჩაბმული ორი რაიონის მშრომელებს ისევე, როგორც უკრაინისა და საქართველოს მოძმე რესპუბლიკებს მთლიანად, რაზმავს მათ სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის იანვლისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელებისათვის საბრძოლველად.

გულითადად ულოცავს რა საზეიმო კრების მონაწილეებს, და მათი სახით მახარაძისა და გენიჩესკის რაიონების ყველა მუშას, კოლმეურნეს, ინტელიგენციას მეგობრობის, ამხანაგური ურთიერთდახმარებისა და ძმური თანამშრომლობის მე-40 წლისთავს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი უსურვებს მათ კვლავაც მაღლა ეპიროთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა, ახალ-ახალ წარმატებებს მიაღწიონ მეათე ხუთწლედის მაღალი მიჯნების დალაშქვრაში, წმიდად დაიცვან და გააღრმაონ ჩვენი რესპუბლიკების ხალხთა ინტერნაციონალური ძმობა.

დაე მტკიცდებოდეს მოძმე საბჭოთა ხალხების ურღვევი ერთიანობა — მსოფლიოს პირველი მომწიფებული სოციალიზმის ძალისა და ძლიერების წყარო!

გაუმარჯოს ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი



ხურათზე: მიტინგი სოფელ ქვემო-ბახვის ხაშუალო სკოლისათვის ლესია უკრაინკის ხახელის მინიჭების გამო.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ჩეხოსლოვაკიის სსრ უმაღლესი ჯილდოების გადაცემა

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა გ. ჰუსაკმა 21 ნოემბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს მ. ა. სუსლოვს გადასცა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო — კლემენტ გოტვალდის ორდენი. მ. ა. სუსლოვს ეს ჯილდო მიენიჭა დიდი დამსახურებისათვის საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებისა და ძმური თანამშრომლობის განვითარების საქმეში, შემოქმედებითი წვლილისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის განვითარებაში, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის გაღრმავებისათვის.

კლემენტ გოტვალდის ორდენი გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს საბჭოთა კავშირის მარშალს დ. თ. უსტინოვს, რომელიც დაჯილდოდა დამსახურებისათვის ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განვითარებაში, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირს შეიარაღებულ ძალებს შორის მჭიდრო ძმური თანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

ამხანაგმა გ. ჰუსაკმა გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ და ჯანმრთელობა, ახალი დიდი წარმატებები უსურვა მათ კეთილშობილურ საქმიანობაში სოციალიზმის საკეთილდღეოდ, ხალხთა ბედნიერებისათვის.

ამხანაგებმა მ. ა. სუსლოვმა და დ. თ. უსტინოვმა გულწრფელი მადლობა გადაუხადეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელმძღვანელობას საპატიო ჯილდოებისათვის და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეს ჯილდოები უწინარეს ყოვლისა არის აღიარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამსახურებისა, რომლის ლენინური ინტერნაციონალისტური პოლიტიკა განსასაზღვრავს მშრომელთა ინტერესებს, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების პოზიციების შემდგომი განმტკიცებისადმი მისწრაფებას.

ორდენების გადაცემას დაესწრნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრომიკო, ვ. ვ. კუზნეცოვი, კ. უ. ჩერნენკო, კ. ვ. რუსაკოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

დაჯილდოებაზე იყვნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბილიაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ჰნოუპეკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ხ. ლოვეტინსკი. (საკდესი).

მოსკოვში ჩამოვიდნენ

სოციალისტური ქვეყნების პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგ თათბირში მონაწილეობისათვის 21 ნოემბერს მოსკოვში ჩამოვიდნენ დელეგაციები:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ტ. ჟივკოვის მეთაურობით;

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. ჰონეკერის მეთაურობით;

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. გერეკის მეთაურობით;

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ნ. ჩაუშესკუს მეთაურობით;

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ი. კადარის მეთაურობით;

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის გ. ჰუსაკის მეთაურობით.

დელეგაციებს დახვდნენ ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, კ. ტ. მაზურეევი, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, დ. თ. უსტინოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, კ. უ. ჩერნენკო, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. პ. რიაბოვი, კ. ვ. რუსაკოვი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

ოფიციალურ ვიზიტად

21 ნოემბერს მოსკოვში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშალის დ. თ. უსტინოვის მოწვევით ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ირაყის სამხედრო დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას ირაყის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი ა. ჰეორალი.

აეროდრომზე დელეგაციას დახვდნენ დ. თ. უსტინოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

საუბარი კრემლში

21 ნოემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე გ. უბიპარიპი, რომელიც მოსკოვში ჩამოუძღვა იუგოსლავიის დელეგაციას საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის სამთავრობათაშორისო ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის კომიტეტის XVI სხდომაში მონაწილეობისათვის.

გაიმართა აზრთა გაზიარება ორივე ქვეყნისათვის საინტერესო მთელ რიგ საკითხებზე. საქმიან, მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარე საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრი რ. კოტრინი და იუგოსლავიის სოციალისტური რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ა. ჯუკიჩი. (საკდესი).

ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად

უნგრეთის კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავს მიეძღვნა საზეიმო კრება, რომელიც 20 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში.

კრება გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტმა, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა პ. ნ. ფედოსეევმა. მოხსენება გააკეთა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ მ. ბ. მჭედლოვმა. შეკრებილთა წინაშე გამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში მ. სიურეში.

გამოსულებმა ილაპარაკეს 60 წლის მანძილზე უნგრეთის კომუნისტთა პარტიის მიერ განვლილი ისტორიული გზის, მისი გმირული ბრძოლის ძირითადი ეტაპების, უნგრეთში სოციალიზმის მშენებლობის ხელმძღვანელობის დარგში უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გამოცდილების შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიისა და უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას, საბჭოთა და უნგრელ ხალხებს შორის ძმური მეგობრობის შემდგომი განვითარების შესახებ.

კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. კაპიტონოვმა. (საკდესი).

მხარდამხარ

უკვე ორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დასაბამი მიეცა ორი მოძმე ერის წარმომადგენლების — მახარაძის რაიონის სოფელ შრომისა და გენიჩესკის რაიონის სოფელ როვნოეს მშრომელთა ძმურ შეჯიბრებას, რომელიც შემდეგ ორივე რაიონის მშრომელთა მეგობრობაში გადაიზარდა.

შეჯიბრების, ძმობისა და მეგობრობის ორმოცი წელი! ეს გრძელი გზა დიდი რწმენით, უკეთესისაკენ მისწრაფებით და გამარჯვებებით განვლეს უკრაინელმა და ქართველმა ძმაღნაფიცებმა. და ახლა, ამ საზეიმო დღეებში, როცა თვალს ეკვლებთ სახელოვნად განვლილ გზას, როცა ვაკვირდებით მეგობრობის ისტორიის თითოეულ ფურცელს, გული სიხარულით და სიამაყით გგვესება: აი რა შეუძლია დაფასებულ შრომას, ერმშარიტ ძმობას, შეჯიბრებას! ქართველი და უკრაინელი მეგობრების მიერ ამ ორმოცი წლის წინათ ანთებული შეჯიბრების ჩირაღდანი გახდა ამ ორი ძმაღნაფიცი რაიონის ეკონომიკისა და კულტურის დაჩქარებული განვითარების მძლავრი სტიმული.

ამის ნათელსაყოფად საკმარისია თვალი გადავავლოთ განვლილ 40-წლიან გზას და მხოლოდ მშრალი ციფრებითა და ფაქტებით შეეჯამოთ შემოქმედებითი თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შედეგები.

გენიჩესკის რაიონი უკრაინული ხორბლის ერთი მთავარი ბეღელთაგანია. მახარაძის რაიონი ქართული არომატიული ჩაის მხარეა.

გენიჩესკის რაიონის მზვნელმთესველებმა მიმდინარე 1978 წელს ამინდის რთულ პირობებში საშუალოდ თითოეულ ჰექტარზე 28,3 ცენტნერი ხორბალი მოიყვანეს და სახელმწიფო ბეღლებში დაახვავეს 100 ათას ტონამდე პური, წარმატებით ასრულებენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების, სამრეწველო პროდუქციის გამოშვების დავალებებს.

მახარაძელები კი საქართველოს მეჩაიეთა ავანგარდში არიან. ისინი სამშობლოს აძლევენ მთელ ჩვენს ქვეყანაში წარმოებული ჩაის თითქმის 20

(დასასრული მე-2 გვ.)



ნოემბერი. ჯილდოების გადაცემის დროს.

ხაკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ქართული ლექსის ოსტატი

ი. ონანეშვილის საიუბილეო საღამო

გასულ ორშაბათს რუსთაველის ხახელობის აკადემიურ თეატრში გაიმართა თვალსაჩინო ქართველი პოეტის იოსებ ნონეშვილის დაბადების მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

ამ საღამოს რუსთაველის სახელობის თეატრში პოეზიის დღესასწაული, ქართული ლექსის დღესასწაული იყო. მკითხველები გულახდილად გამოხატავდნენ თავიანთ სიყვარულს იუბილარისადმი, რომლის ლექსებიც უყვართ არა მარტო ქართველ მკითხველებს, არამედ ისინი პოპულარულია სხვა ხალხებს შორისაც.

საიუბილეო საღამოს დაესწრნენ ამხანაგები პ. გელაშვილი, გ. კოლბინი, ზ. პატარიძე, ე. შევარდნაძე, ს. ხაბეიშვილი, ო. ჩერქეზია.

პოეტის ყოველი ნაწარმოები შთაგონებული სიმღერაა მოქალაქისა, რომელსაც მგზნებარედ უყვარს თავისი ხალხი. იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაში ასახულია რესპუბლიკის ცხოვრება, რომელიც მთელ საბჭოთა ხა-

(დასასრული მე-4 გვ.).

მეტი პასუხისმგებლობა და ინიციატივა

თიანელ კომუნისტთა საფიქრალი და საზრუნავი

✦

კონფერენციის დაწყებამდე ოცდაოდ წუთი იყო დარჩენილი. დელეგატები რაიონის კულტურის სახლის ფოიეში გამოფენილ თიანეთის განვითარების გენერალური გეგმის ამსახველ დიაგრამებს, სქემებს ათვალიერებდნენ, რაღაცას ინიშნავდნენ, კამათობდნენ... დელეგატთა ერთ ჯგუფს მივუახლოვდით, საუბარში ჩაეერიეთ.

— თიანეთი ერთ-ერთი ჩამორჩენილია თვით საქართველოს მთის რაიონებს შორის, — გვითხრა თიანეთის სახალხო დეპუტატთა რისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ს. გონჯილაშვილმა, — თუმცა არც ახლა გვაქვს საამაყო მდგომარეობა, მაგრამ წინა წლებში უფრო ცუდი ვითარება იყო. სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე ვერ უპასუხებდა თანამედროვე მოთხოვნებს, ბევრი საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა წამგებიანი იყო, ბევრ სოფელში არ გვქონდა საავეჯო და საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიმე ობიექტი...

ჩვენი რაიონისათვის სასიკეთო ცვლილებები დაიწყო მას შემდეგ,—ჩაერია საუბარში ხევსურთსოფლის საშუალო სკოლის დირექტორი ლ. ზარიძე,—რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ამ ორწელიწადნახევრის წინათ დასახეს თიანეთის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიება.

დიახ, მას შემდეგ მართლაც ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა, — სიტყვა ჩამოართვა მას სიმონიანთხევის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. გრიქულოვმა, — მაგრამ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, შედეგები გაცილებით უკეთესი გვექნებოდა, რესპუბლიკის ზოგიერთი საინისტრო და უწყება მეტი პასუხისმგებლობით რომ ეკიდებოდეს ჩვენს საჭიროებებს. ამ ბოლო ორ წელიწადში რაიონში საექსპლოატაციოდ გადაეცა თიანეთის მეფრინველეობის ფაბრიკა, დაბა თიანეთში დაიდგა ათასსომარიანი, ხოლო სოფლად — ორასსომარიანი ავტომატური სატელეფონო სადგურები, დამონტაჟდა აგრეთვე 360-ნომრიანი საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური, სოფლებში ბალაბისხევსა და ღულელებში საექსპლოატაციოდ გადაეცა პირველი მოთხოვნილების საქონლის მაღაზიები, აშენდა პურის მექანიზებული საცხობი კომბინატი, სპორტული ბალი, სასტუმრო, კონფერენციის დღისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცა სადაზო საბჭოს, თიანეთის გაზის კანტორის შენობები, სულ მალე გაიხსნება პიონერთა სახლი და სამუსიკო სკოლა, დამთავრდება 40-ბინიანი საცხოვრებელი სახლის, აგრეთვე რამდენიმე სხვა ობიექტის მშენებლობა...

66 პირველადი პარტორგანიზაციის წარგზავნილნი მოვიდნენ რაიონული პარტიული ორგანიზაციის XXVII კონფერენციაზე იმ დიდი სახუნაგითა და საფიქრალით, რომლებიც დღეს ერთნაირად აღელვებს ყოველ აქაურ კომუნისტს, თითოეულ მშრომელს, მოვიდნენ, რათა ერთმანეთისათვის აზრი გაეზიარებინათ, ერთობლივად განეხილათ და ეფასებათ რაიონის მშრომელთა წინაშე მდგომი ამოცანები, პრობლემების გადაჭრის, უკეთ მუშაობის გზები და საშუალებები, რომლებზეც მათ რაიონულ კონფერენციამდე იმსჯელეს თავიანთი პირველადი პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე.

ასეთი საქმიანი განწყობით დაიწყო კონფერენცია და, როგორც იტყვიან, კარგ თესლს კარგი ნიად

შეხვედრა დედაქალაქთან

საქართველოს მუსიკალური ხელოვნების დღეები მოსკოვში

მოსკოვი, (საკადრო-საინფორმაციო სპეც. კორ. ი. გოლდმანი, ი. ვეინბერგი), გულთბილად და გულითადად შეხვდნენ მოსკოველები საქართველოს სსრ რესპუბლიკის მუსიკალური ხელოვნების წარმომადგენლებს. ოთხასზე მეტი კომპოზიტორი, შემსრულებელი, პროფესიული და თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილე წარმომადგენლობს ამ დღეებში საქართველოს მუსიკალურ ხელოვნებას ჩვენი ხალხშობლის დედაქალაქში.

— ჩვენ დიდი სიხარულით მოველოდით ახალ შეხვედრებს ქართველ კომპოზიტორთა და მუსიკოსთა შემოქმედებასთან, — თქვა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, სოციალისტური შრომის გმირმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ტ. ხრენიკოვმა, — ქართული მუსიკა ხომ ჩვენი მრავალეროვნული კულტურის ოქროს ფონდშია შესული, სოციალისტური ხელოვნების მოწინავე პოზიციებზე იმყოფება.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე ფართოდ გამოვიდნენ სამუსიკო სარბიელზე „ამირკვლასის“ კომპოზიტორები. მათმა ქმნილებებმა ღირსეული ადგილი დაიკავა ქვეყნის წამყვანი მუსიკალური თეატრებისა და სიმფონიური ორკესტრების რეპერტუარში. ახალი შესანიშნავი ქმნილებებით გამდიდრდა ამ ბოლო წლებში საქართველოს მუსიკა. ეს არის ო. თაქთაქიშვილის ოპერები „მთვარის მოტაცება“ და „მინდია“, შ. მშველიძის ოპერა „დიდოსტატის მარჯვენა“, ა. მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“, და დ. თორაძის ბალეტი „გორდა“, რ. ლაღიძის, ს. ნასიძის, ს. ცინცაძის, რ. გაბიჩვაძის კონცერტები და სიმფონიები ქართველ ავტორთა ნაწარმოებები ჟღერს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. ფართო აღიარება პოვა, მაგალითად, გ. ყანჩელის მეხუთე სიმფონიამ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების მუსიკალურ თეატრებში დიდგა ო. თაქთაქიშვილის ოპერები. ნ. გაბუნიას „არაკი“ პრემიით აღინიშნა საფრანგეთის ერთ-ერთ მუსიკალურ დაფალიერებაზე.

ქართულ მუსიკაში დღესაც არ ცხრება შემოქმედებითი ძიება და დაუცხრომელი მუშაობა. საგულისხმოა, რომ ახლა მასში ყველა თაობის წარმომადგენლები მუშაობენ. სასიხარულოა, რომ მას შეემატა შემოქმედი ახალგაზრდობის ნიჭიერი ნაწარმოებები.

ქართველ ავტორთა ნაწარმოებების ღირსეულ ინტერპრეტატორებად გამოდიან ნიჭიერი ეროვნული კოლექტივები, მომღერლები, სოლისტ-ინსტრუმენტალისტები, დირიჟორები: დღეს ვინ არ იცნობს ზ. ანჯაფარიძესა და ზ. სოტკილავას, მ. ამირანაშვილსა და ლ. ჭყონიას, ე. ვირსალაძესა და ლ. ისაკაძეს, ჯ. კახიძესა და ვ. ქორდანიას, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინ ჰერბერტ ფონ კარაიანის სახელობის დირიჟორთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს მუსიკალური ხელოვნების წარმომადგენლები ღირსეულ წვლილს შეიტანენ საბჭოთა ხალხის სულიერ საგანძურში, სოციალისტური რეალიზმის პოზიციებიდან ასახავენ თავიანთ ქმნილებებში მის აღმშენებლობითს შრომას, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის გმირულ მიღწევებს.

„ექიდეს“ გასეირნება

ვოსკოვი ოპერეტის თეატრში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს მუსიკალური ხელოვნების კვირეული. სცენა სამი დღით დაეთმო რ. გაბიჩვაძის ბალეტ „მედეას“, რომლის ლიბრეტო და დადგმა ევროპიდეს ცნობილი ტრაგედიის მოტივებზე კაკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. ალექსიძეს.

პრემიერას ინტერესით მოელოდნენ მოსკოველები. მათ კვლავ სურდათ ახალი შეხვედრა ცნობილ ქართველ კომპოზიტორთან, რომლის ბალეტი „ჰამლეტი“ სწორედ მოსკოვში ეჩვენეს ამ რამდენიმე წლის წინათ.

უნდა ითქვას, რომ დედაქალაქის მუსიკალური საზოგადოებრიობის მოლოდინი სავსებით გამართლდა. ქართული ბალეტის თავისებური „გასტროლების“ პირველმა საღამომ ბრწყინვალედ ჩაიარა.

რიტმულმა, ორმა ასოციაციებით სავსე მუსიკამ მოხიბლა დარბაზი. ბალეტის მუსიკალური ლინება სავსეა დახვეწილი ფსიქოლოგიური კონტრასტებით და შეშმარიტად ეჩსპრესიული მუსიკით. ეს ყველაფერი მშვენივრად იყო შერწყმული მსახიობების ი. ჯანდიერის (მედეა) და ვ. ჭელეხაძის (იასონი) ტალანტთან.

წარუშელელი შთაბეჭდილება მოახდინა ქორეოგრაფიამ. აქ ორგანულად შეერთდა კლასიკური და თანამედროვე ბალეტის ხერხები, მშვენიერად, მეტად სახიერად არის გამოკვეთილი გროტესკი, საინტერესოა და მიმზიდველი სპეციალის მხატვრული გაფორმება, რომელიც ი. გეგეშიძეს ეკუთვნის. ორკესტრს ჩვეული ოსტატობით დირიჟორობდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, პროფესორი ე. ფალიაშვილი.

სპექტაკლის შემდეგ, როცა მოსკოველებმა ბალეტის ავტორს, დამდგმელსა და მსახიობებს ვარდების თაიგულები მიართვეს, მე მოვისმინე როგორ ეუბნებოდა მოხუცი მოსკოველი, ცნობილი თეატრალი თავის მეგობრებს: „ბედნიერია კომპოზიტორი რევაზ გაბიჩვაძე, რომ თავისი მშვენიერი მუსიკით ეზიარა ევრიპიდეს უკვდავ ხელოვნებას“.

ვ. არსენიევი

გაზეთ „იზვესტიის“ მუხიკალური მიმოხილველი.

სურათზე: შეხვედრა საქართველოს მუსიკალური ხელოვნების დღეების მონაწილეებთან სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირში (მარცხნიდან): საავტორო უფლებათა დაცვის საკავშირო საგენტოს მუსიკოსი და დრამატურგიის ხამმართველოს უფროსი ვ. ივანოკი, კომპოზიტორი ხ. ნასიძე, მუსიკათმცოდნე კ. ხაკკა, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. თაქთაქიშვილი, მუსიკათმცოდნე ე. მაჭავარიანი.

ხაკდესის-საინფორმის ტელეფოტო.

საერთაშორისო ცხოვრება

მსოფლიო საზოგადოებრიობა ერთსულოვნად გმობს

პლანეტის ყველა კუთხეში კვლავ გაისმის პროტესტები იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი აძლიერებს გაჯმალებულ შეიარაღებას, კერძოდ, იმის გამო, რომ ვაშინგტონის ადმინისტრაციამ ამას წინათ გადაწყვიტა დაიწყოს ნეიტრონული ბომბის კომპონენტების წარმოება.

ბერლინი. ახლანდელ ეტაპზე მშვიდობისმოყვარე ძალების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მიაღწიონ იმას, რომ პოლიტიკური დაძაბულობის შენელების შედეგები განამტკიცონ გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების დარგის კონკრეტული ღონისძიებებით. ეს განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობის საბჭოს განიარაღების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ პროფესორმა ჰ. შმიდტმა აქ გამართულ კომისიის სხდომაზე.

ბონი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ქალაქლუბეკის ორგანიზაციამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას მოსთხოვა ყველაფერი იღონოს, რათა არ დაუშვას ნეიტრონული იარაღის წარმოება და დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე მისი განლაგება. მასობრივი მოსპობის იარაღის ამ ნაირსახეობის შექმნა, ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში, საფრთხეს შეუქმნის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის დადებითს განვითარებას.

ოსლო. ნორვეგიის საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ — „ნეიტრონული ბომბის საწინააღმდეგო აქციამ“ მკვეთრი პროტესტი განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომ დაიწყოს ნეიტრონული იარაღის ძირითადი კომპონენტების წარმოება. ორგანიზაციის განცხადება მოუწოდებს ქვეყნის მთავრობას დაადასტუროს ნორვეგიის უარყოფითი დამოკიდებულება ნეიტრონული იარაღის გავრცელებისადმი.

დუბლინი. ირლანდიის პროგრესულმა ორგანიზაციამ — შინ ფეინ-მუშათა პარტიამ დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ის გადაწყვეტილება, რომ დაიწყოს ნეიტრონული იარაღის ძირითადი კომპონენტების წარმოება. ამ გადაწყვეტილებამ, ხაზგასმულია წერილში, რომელიც შინ ფეინ-მუშათა პარტიის ხელმძღვანელობამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს კარტერს გაუგზავნა, შეიძლება მხოლოდ ბირთვული განიარაღების წარმატებით განხორციელების იმედები გაუცრუოს მილიონობით ადამიანს და გაადიდოს მათი მოსპობის საფრთხე.

ოტავა. ვანკუვერში კანადელმა მშვიდობის მომხრეებმა საპროტესტო მიტინგი მოაწყვეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომ დაიწყოს ნეიტრონული იარაღის ძირითადი კომპონენტების წარმოება.

ბოგოტა. კოლუმბიელი პარლამენტარების აზრით, ვაშინგტონის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება ნეიტრონული ბომბის ძირითადი კომპონენტების წარმოების დაწყების შესახებ ანტიპუმანური, ყოველგვარ საღ აზრს მოკლებული აქტია.

ირანის ამბები

ვაშინგტონი, 20 ნოემბერი. (საკადესი).. „არ დავუშვათ, რომ ირანი გადააქციონ მეორე ვიეტნამად!“ — ასეთი ლოზუნგით გაიმართა თეთრ სახლთან ხალმრავალი საპროტესტო დემონსტრაცია ირანის საშინაო საქმეებში შეერთებული შტატების იმპერიალისტური ჩარევის გეგმების წინააღმდეგ. დემონსტრაციის მონაწილეებმა — ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა ირანელებმა და ირანული წარმოშობის ამერიკელმა მოქალაქეებმა გადაჭრით დაგმეს ვაშინგტონის ინტერვენციონისტული ზრახვები ირანის მიმართ, და მოითხოვეს, რომ ამერიკამ შეწყვიტოს ამ ქვეყნისათვის ამერიკული შეტევითი შეიარაღების მიწოდება.

აქ გავრცელებულ ფურცლებში დემონსტრანტებმა მკაცრად გააკიტიკეს ის ცილისმწამებლური კამპანია, რომელიც ამერიკის ბურჟუაზიულ პრესაში დაიწყო ირანის ამბებთან დაკავშირებით. ამ მოვლენათა აზრის განუწყვეტელი და წინასწარგანზრახული დამახინჯება, ნათქვამია ფურცლებში, იმის ცდები, რომ მასობრივი ოპოზიციური გამოსვლები რეფორმებისა და ტექნიკური პროგრესის წინააღმდეგ რელიგიურ ფანატიკოსთა რეაქციულ მოძრაობად წარმოადგინონ, ირანელი ხალხის ეროვნული ღირსების აშკარა შეურაცხყოფაა.

ამერიკის პრესა არ მალავს, რომ ირანის საშინაო საქმეებში ჩარევის საშიში გეგმები, რომლებსაც შეერთებული შტატები ადგენს, უფრანგეს ყოველისა მიზნად ისახავს ამ ქვეყანაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესების დაცვას.

ირანის ეკონომიკაში ამერიკის შეერთებული შტატების მარტო პირდაპირი ინვესტიციები 700 მილიონ დოლარს შეადგენს. ქვეყანაში მოქმედებს 500 ამერიკული კომპანია, მათ შორის უდიდესი კორპორაციებიც. ამასთან ყოველწლიურად იზრდება ამერიკული შეიარაღების ნაკადი ირანში.

გადადგა მთავროგის წევრი

ლონდონი. მშრომელთა ხელფასის ზრდის მკვეთრი შეზღუდვის სახელმწიფო პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გადადგა დიდი ბრიტანეთის მრეწველობის მინისტრის საპარლამენტო მოადგილე რ. კრაიერი. აქ გავრცელებულ განცხადებაში მან ხაზი გაუსვა, რომ მთავრობის მიერ აღებული კურსი ეწინააღმდეგება ლეიბორისტული პარტიის კონფერენციების გადწყვეტილებებს.

მოკლედ

ყოველი ესრიდან

მწვავე პროგლემად რჩება

რომი. კვლავ მწვავე პრობლემად რჩება იტალიაში უმუშევრობა. შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს უკანასკნელი მონაცემებით, მიმდინარე წლის სექტემბრის დამლევს შრომითი მოწყობის სახელმწიფო ბიუროში რეგისტრირებული იყო მილიონ ნახევარზე მეტი კაცი. მიმდინარე წლის აგვისტოსთან შედარებით უმუშევრობა 4,2 პროცენტით გაიზარდა.

ამასთან ოფიციალური სტატისტიკა არ ითვალისწინებს ასაკთასობით დროებით ან ნაწილობრივ უმუშევარს.

შრომის სამინისტროს აღიარება

ვაშინგტონი. ვაშინგტონის „ადამიანის უფლებათა დაცვის“ ოფიციალური დეკლარაციებს მიღმა იფარება ზანგთა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების, აგრეთვე ქალთა სამარცხვინო დისკრიმინაცია. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების შრომის სამინისტრომ აღიარა თავის მოხსენებაში, ქვეყნის მოსახლეობის ამ კატეგორიებს კვლავინდებურად არ გააჩნიათ თანასწორუფლებიანობისა და სოციალური სამართლიანობის მოპოვების იმედი. ჩატარებული გამოკვლევის შედეგად სამინისტრომ გამოარკვია, რომ ამერიკელ ქალთა ხელფასი ბევრად ნაკლებია მამაკაცთა ხელფასზე. სამინისტროს მონაცემებით, უმაღლესი განათლების მქონე, ქალი, მაგალითად, იღებს თითქმის 23 პროცენტით ნაკლებს, ვიდრე მამაკაცი, რომელსაც საშუალო ხკოლა არ დაუმთავრებია. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისა და თეორკანიან ამერიკელთა ხელფასში განსხვავება კიდევ უფრო მეტია.

იძულებითი ღონისძიება

მაპუტუ. მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მოზამბიკის სანაოსნო კომპანიაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესების შესახებ. როგორც ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, მოზამბიკის სანაოსნო კომპანიის ადმინისტრაციის ხაქმიანობამ, განსაკუთრებით ბოლო დროს, აშკარა საბოტაჟის ხასიათი მიიღო.

კ. ვალდჰაიმის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 20 ნოემბერი. (საკადესი). „ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და ყოვლისმომცველი მშვიდობის მისაღწევად საჭიროა უკლებლივ ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა მოწესრიგების პროცესში“, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა. ამერიკის ეი-ბი-სის სატელევიზიო კომპანიის პროგრამით გამოსვლისას მან ხაზი გაუსვა, რომ ეს უწინარეს ყოვლისა შეეხება პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას, რომელიც, როგორც პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი წარმომადგენელი, ყველა მოლაპარაკების სრულუფლებიანი მონაწილე უნდა გახდეს. ასეთი მიდგომა იმით არის გამოწვეული, აღნიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა, რომ პალესტინის პრობლემა მთელი ახლო აღმოსავლეთის მოწესრიგების ქვაკუთხედია.

კ. ვალდჰაიმმა მოიითხოვა, რომ ახლო აღმოსავლეთის შესახებ ჟენევის სახავო კონფერენცია მოეწყოს საბჭოთა კავშირის როგორც მისი ერთ-ერთი თანათავმჯდომარის მონაწილეობით. „მხოლოდ ჟენევის კონფერენცია, — განაცხადა მან, — შეიძლება გახდეს იმ სიძნელეთა დაძლევის ეფექტიანი საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომლებიც დგას ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტის გზაზე. იქაური უაღრესად საშიში ვითარება საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობასა და ხალხთა უშიშროებას“.

კ. ვალდჰაიმმა შეეხო დიდი სახელმწიფოების, კერძოდ, საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობას, და აღნიშნა, რომ დაძაბულობის შენელების პოლიტიკა კვლავ საერთაშორისო ურთიერთობის მთელი კომპლექსის უმნიშვნელოვანეს ელემენტად რჩება. „ჩვენ იმედი გვაქვს, — თქვა მან, — რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გარკვეულ უთანხმოებათა მიუხედავად, დაძაბულობის შენელების პროცესი გაგრძელდება მთელი მსოფლიოს ხალხთა ინტერესებისათვის“.

ავია მოსამსახურეთა მაუწყება

ტოკიო. ზედიზედ მეორე დღეა გაფიცული არიან იაპონიის ავიახატარსპორტო კომპანია „ჯაპან ეირლაინზის“ მუშები და მოსამსახურეები. დღეს ტექნიკურ პერსონალს შეუერთდნენ მფრინავები, ბორტინჟინრები და რადისტები. გაფიცვის შედეგად 90 პროცენტით შეწყვეტილია რეისები შინაგან და საერთაშორისო ავიახაზებზე. გაფიცულნი ადმინისტრაციისაგან მოითხოვენ შრომის პირობების გაუმჯობესებას. (საკადესი).

„ქორეგის“ ნეგას აყოლილნი

ვაშინგტონი. 21 ნოემბერი. (საკადესი). მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლნი აცხადებენ გამალებული შეიარაღების ალაგმვას ვესწრაფვითო, პენტაგონი აჩქარებს ახალ სახეობათა მომაკვდინებელი იარაღის შექმნასა და წარმოებას. „შეერთებული შტატები იწყებს უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ბირთვული იარაღის წარმოების ყველაზე ფართო პროგრამის განხორციელებას“,— აღნიშნავს „ვაშინგტონ პოსტი“.

იწყებს რა სულ ახალ-ახალ სახეობათა იარაღის წარმოებას, ადიდებს სამხედრო ბიუჯეტს, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია აყოლილია სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს— პენტაგონსა და მასთან დაკავშირებული „კორპორაციების ავბედით „კავშირს“, რომლებიც უდიდეს მოგებას იღებენ ამ მომაკვდინებელი ბიზნესით.

ხელკეტის ხელისუფლება

ეს სურათი გადაღებულია ამერიკის ერთ-ერთ ქალაქში დემონსტრაციის მონაწილეთა გარეკვის დროს, პოლიციელთა ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი და რკინის ხელბორკილები — ბურჟუაზიული „დემოკრატიის“ უცილობელი ატრიბუტებია.

გულახდილი ფარსი

ლუანდა, 20 ნოემბერი. (საკადესი). სამხრეთაფრიკელი რასისტები, რომლებიც ოკუპაციას უწევენ ნამიბიას, არ ზოგავენ სახსრებს, ოღონდ უზრუნველყონ თავიანთი დამკაბრების „გამარჯვება“ 4 დეკემბრისათვის დანიშნულ „საყოველთაო არჩევნებში“. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის არმიის 50-ათასიანი კორპუსისა და პოლიციის დამატებით უახლოეს დღეებში ქვეყნის ტერიტორიაზე შეიქმნება ტურნჰალეს დემოკრატიული ალიანსის — ადგილობრივ თეორკანიან რასისტთა და აფრიკელ მარიონეტთა პოლიტიკური დაჯგუფების წევრთა და მომხრეთა გასამხედროებული რაზმები. პრეტორია აპირებს სწორედ მას გადასცეს ნომინალური ძალაუფლება წლის ბოლოს. იარაღს, რომლის მეშვეობითაც ამ რაზმების წევრები ამომრჩევლებს დაშინებენ, მიიღებენ პრეტორიის არსენალებიდან, რომელიც აფინანსებს სწორედ ტურნჰალეს დემოკრატიული ალიანსის მთელ საქმიანობას.

„თავისუფალი არჩევნების“ მოწყობის ამ ღონისძიებებზე ილაპარაკა ვინდჰუკში თეითონ დემოკრატიული ალიანსის ხელმძღვანელმა, მსჯელმა თეორკანიანმა მიწათმფლობელმა დ. მაჯმა. მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ნამიბიაში მცხოვრები 100 ათასი თეორკანიანიდან პრაქტიკულად ყველა ზრდადასრულებული უკვე შეიარაღებულია. ახლა საქმე მიდგა ტურნჰალეს დემოკრატიული ალიანსის მომხრეებზე სხვა რასობრივი ჯგუფებიდან, თქვა მან.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით ცინიკურად გაისმა სამხრეთ აფრიკის რეჟიმის მეთაურის ჰ. ბოტას სიტყვები, რომელმაც წინა დღეს ინტერვიუ მისცა ამერიკის ეი-ბი-სის სატელევიზიო კომპანიას. თეთრმა მსოფლიომ ნამიბიელი ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებად უნდა მიიჩნიოს მხოლოდ ისინი, ვინც „მხარს დაუჭერს გამარჯვებას დეკემბრის არჩევნებში“, კაღნიერად განაცხადა მან.

ნამიბიის „არჩევნებთან“ დაკავშირებით აშკარა ფარსს ოკუპანტები ამზადებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადწყვეტილებების მიუხედავად, თუმცა ამ უკანასკნელმა წინასწარ გამოაცხადა მათი ლაბ ბოლოდ არჩევნების შედეგები.



ესეც შენი „თავისუფალი სამყარო“

სიმღერისათვის — სამართალში?!

დინ რიდი თავისუფალია. ამერიკის ხელისუფალთა ცდას — დილეგში გამოამწყვდიათ მოკალაკეობრივი უფლებებისათვის მებრძოლი მოლვაწე, წარმატება არ ჰქონია. მისმა დაპატიმრებამ მილიონობით პროგრესული ადამიანის გულისწყრომა გამოიწვია. საპარტიზანო ხმა აღიმაღლეს საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. რედაქციამ იმ დღეებში ჩვენთან მრავალი წერილი მიიღო, რომლებშიც ისინი გვთხოვდნენ აგრეთვე ბეთოვენ მოღვაწის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ვასრულებთ მათს თხოვნას.

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ დელაროში მომხდარი ამბები კიდევ ერთხელ გვიჩვენებს ყბადაღებული ამერიკული დემოკრატიისა და „თავისუფალი სამყაროს“ არსს.

როგორც ცნობილია, მინესოტას შტატის ამ ქალაქში დაპატიმრეს ცნობილი ამერიკელი პოპულარული სიმღერების ავტორი და შემსრულებელი დინ რიდი. მომღერალს დაპატიმრების მიზეზი გახდა მისი მონაწილეობა ადგილობრივ სოფლის მეურნეობის მშრომელთა მიტინგში. მიტინგი კი იმ მონოპოლიათა პოლიტიკის საპროტესტოდ გაიმართა, რომლებიც მაქსიმალური მოგების გულისთვის უგულებელყოფენ წვრილ ფერმერთა უფლებებსა და ინტერესებს.

დინ რიდთან ერთად დააპატიმრეს საპროტესტო მიტინგის კიდევ 20 მონაწილე, რომელთა შორის იყო „ამერიკელ ინდიელთა მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი კ. ბელიკურატი. დაპატიმრებულებს წაუყენეს სტანდარტული ბრალდება — „საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა“.

დინ რიდს — მგზნებარე მომღერალს, პოპულარული სიმღერების ავტორს, ნიჭიერი რეჟისორს, მსახიობს, „უსამართლოდ დაჩაგრულთა“ ქომაგს — ამ მრავალმხრივი მოწოდების მქონე ადამიანს საბჭოთა ფაქტობრივ არის ცნობილი ბოლო შოფლიოში, კერძოდ ჩვენს ქვეყანაშიც. იგი რამდენჯერმე სწვეია საბჭოთა კავშირს, მრავალ ქალაქში გაუმართავს კონცერტები. საბჭოთა ხალხს შეუყვარდა მისი სიმღერები გულში ჩამწვდომი მოქალაქეობრივი შინაარსისა და უსაზღვრო ჰუმანიზმისათვის.

თავის სიმღერებში იგი ხმას იმაღლებს ამის დასაცავად, რაც უყვარს: მშვიდობა, ბავშვები, ცხოვრება, ყვავილები, რევოლუცია. სიყვარული მისთვის ნიშნავს ბრძოლას, ბრძოლა იმპერიალიზმთან, საზოგადოებრივი უსამართლობის მთავარ მტერთან.

„მე კომუნისტი არა ვარ, მაგრამ მსახიობისა და მწერლის პოზიციიდან ვიბრძვი ქვეყნად მშვიდობისათვის, ყველა ადამიანის თანასწორობისათვის“, — ასე განსაზღვრა თავისი მიზანი მომღერალმა.

დინ რიდი 1938 წელს დაიბადა ოკლოჰომოს შტატში. ერთ დროს ჰოლივუდშიც იყო მიწვეული ფილმებში გადასაღებად. მაგრამ დინ რიდმა ჰოლივუდის კინოვარსკვლავის „მომხიბლავ“ პერსპექტივას, პროდუსერთა და დამქირავებელთა „სალამურზე ცეკვას“, ცხოვრებამოყოლებულ მაყურებელთა გართობას არნია სიმღერითა თუ საქმით ყოფილიყო თავისი უფლებებისათვის მებრძოლ ადამიანთა გვერდით.

სიმღერების გარდა დინ რიდი მრავალი წიგნის ავტორიც არის. წერს სცენარებს, მონაწილეობს ფილმებში და მოგზაურობს, არა როგორც ტურისტი, არამედ როგორც მსოფლიოს ხალხთა ბედის გულშემატკივარი. იგი ყოველთვის ცდილობს საზოგადოებრივი პროგრესისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე იყოს.

როცა ჩილეში სახალხო ერთიანობის მთავრობა ჩამოყალიბდა, დინ რიდი იქ ჩავიდა. ჩილეში ყოფნისას მან გაიცნო საპროტესტო სიმღერების პოპულარული მომღერალი. შემდგომში ხუნტის მიერ წამებული ვიქტორ ჯარა...

გავიდა დრო და დინ რიდი გამამხნევებელ სიმღერებს უმღეროდა მებრძოლ პალესტინელ პარტიზანებს.

მსოფლიოს კიდით-კიდემდე გაისმოდა მისი მგზნებარე მოწოდება მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის, სოციალურ უთანასწორობასთან, მილიტარიზმთან, ფაშიზმთან და რასიზმთან საბრძოლველად.

იგი ოთხჯერ დააპატიმრეს. დიდხანს იძულებული იყო ეცხოვრა მშობლიური ადგილებიდან შორს. მაგრამ მისი ნებისყოფა სიძნელეებმა და ჭირ-ვარამმა ვერ გატეხა.

დინ რიდი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრია. როგორც საზოგადო მოღვაწე, იგი საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა „მშვიდობისათვის მებრძოლის“ მედლით დაჯილდოვა.

დინ რიდის, როგორც კინომოღვაწის, უკანასკნელი ნამუშევარია ფილმი — „ელ კანტორი“ („მომღერალი“), რომელიც მან ჩილელი პატრიოტი მომღერლის ვიქტორ ჯარის ხსოვნას მიუძღვნა. ფილმის სცენარის ავტორი, რეჟისორი და მთავარი როლის შემსრულებელი თვითონ დინ რიდია. ფილმი მან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტელესტუდიასთან ერთად გადაიღო. დინ რიდი და მისი მეგობრები ფილმს საჩვენებლად ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში დაატარებდნენ. ასე მოხვდა იგი მინესოტის შტატში.

ოთუოს ისე დიდი ხნის წინ კი დინ რიდმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. კარტერს გაუგზავნა ღია წერილი, რომელშიც იგი მოუწოდებდა პრეზიდენტს შეესრულებინა მის მიერ ადრე საქვეყნოდ მიცემული დაპირება ადამიანის უფლებათა დაცვის, სინდისის, პატიმართა განთავისუფლების თაობაზე.

თეთრი სახლი დუმდა. მის მაგივად პასუხის გაცემა მინესოტის ხელისუფლებამ იკისრეს — დინ რიდი დააპატიმრეს მისი სიმღერებისა და საქმიანობისათვის და რაიტის ოლქის სასამართლოში ჩასვეს, სადაც ხელისუფალთა უკანონო მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დაპატიმრებულმა შიმშილობა გამოაცხადა.

დინ რიდმა საპატიმროდან პრეზიდენტ ჯ. კარტერს გაუგზავნა მეორე ღია წერილი, რომელშიც იგი მოუწოდებს ბოლო მოეღოს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქალაქეთა უფლებების სისტემატურ დარღვევებს და გაათავისუფლონ ყველა პოლიტიკური პატიმარი.

„ვაშინგტონმა წამოიწყო „ადამიანის უფლებების დაცვის“ ხმაურიანი კამპანია სხვა ქვეყნებში, — წერს დინ რიდი. — მაშინ, როცა მას არ აწყენდა საკუთარ სახლში წესრიგის დამყარება. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ამერიკის სატუსაღოებში ათასობით პოლიტიკური პატიმარი იტანჯება, განწირული მრავალი წლის წამებისა და დამცირებისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ იბრძოდნენ რასობრივი დისკრიმინაციის, მოქალაქეთა უფლებების დარღვევის წინააღმდეგ“.

დინ რიდის ეს წერილიც ჯერჯერობით უპასუხოდ რჩება. აღბათ თეთრი სახლის მესვეურთ საპასუხოც არაფერი აქვთ.

8 ნოემბერს ბუფალოში სასამართლოს წინაშე წარდგნენ მრავალი დღის შიმშილით ალარაჭყლი, მაგრამ სულით გაუტეხელი დ. რიდი და დელაროს მშვიდობიანი დემონსტრაციის სხვა 19 მონაწილე. თუმცა სასამართლო ორგანოებმა მათ სტანდარტული ბრალდება წაუყენეს, — „საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა“, სასამართლო საქმის გარჩევა ატარებდა მკვეთრად გამოხატულ პოლიტიკურ ხასიათს. ბრალდების მოწმეებად გამოდიოდნენ რაიტის ოლქის შერიფი და 15 პოლიციელი, რომლებმაც „თავი გამოიჩინეს“ დემონსტრანტთა დარბევაში.

მოსამართლე დალი სასამართლო გარჩევის დაწყებიდანვე ცდილობდა პროცესი წარმართა ხელისუფალთა სასურველი კალაპოტით. იგი ხშირად აწყვეტინებდა მოწმეებისათვის მიცემულ კითხვებს, რომელთა მიზანი იყო გამომეღავნებულიყო პოლიციის უფლებამოსილების გადაჭარბების აქტები დემონსტრაციის დროს.

სასამართლო სხდომა დამთავრდა. ბრალდების დამამტკიცებელი საბუთები ამ სასამართლო ფარისისათვისაც კი საკმარისი არ აღმოჩნდა.

არცთუ ისე ორლია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში იმათი დადანაშაულება, რომლებსაც სინამდვილეში იდეური რწმენის გამო დევნიან.

თვითონ დინ რიდი გამარჯვების რწმენით იყო გამსჭვალული და გადაწყვეტილი ჰქონდა განეგრძო ბრძოლა უსამართლობის ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ. მას მხარს უჭერდა ყველა კეთილი ნების ადამიანი.

დინ რიდს დაპატიმრების დღიდანვე ამერიკის შეერთებული შტატების ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან მისდიოდა თანაგრძნობის გამომხატველი დეპეშები, რომლებშიც მტკიცე პროტესტი იყო გამოთქმული ამერიკის ხელისუფალთა უკანონო მოქმედების გამო. ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი, პროფესორები, პოლიტიკოსნი და ხელოვნების მოღვაწენი, სტუდენტები, ახალგაზრდობა აღშფოთებული იყვნენ ძალადობის უხეში აქტით.

მსაჯულნი ითულებული გახდნენ ინგლისში ვაეწიათ პროგრესული კაცობრიობის პროტესტისათვის, —

ქართული ლექსის ოსტატი

(დასასრული)

ლხთან ერთად აშენებს ნთელ მომავალს.

თვალსაჩინო პოეტის, საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის, საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელის იუბილე თავისებურ გაგრძელებად იქცა საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეებისა, დღესასწაულისა, რომელმაც წარმატებით მოიარა მთელი ჩვენი რესპუბლიკა.

საღამო გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გ. აბაშიძემ, რომელმაც აღნიშნა იოსებ ნონეშვილის შემოქმედების დიდი პოპულარობა, მისი პოეზიის მაღალი მოქალაქეობრივი ჟღერადობა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. მენთეშაშვილმა წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს მისალმება, რომელშიც მაღალი შეფასება ეძლევა იოსებ ნონეშვილის შემოქმედებითს და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, შემდგომ წარმატებებს უსურვებენ პოეტს ქართული საბჭოთა ლიტერატურის სასახელოდ.

იუბილარს მიულოცა საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ მწერალმა ე. მაღრაძემ.

ქართველ თანამოკალმეს გულთბილად მიულოცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, დაღესტნის სახალხო პოეტმა სოციალისტური შრომის გმირმა რასულ გამზათოვმა.

— ამბობენ, ყოველი იუბილეს საბაბია იუბილარისადმი შენი დამოკიდებულების გამოსახატავად, მისთვის კარგი, კეთილი სიტყვების სათქმელადო. იოსებ ნონეშვილი მშობლიურმა ხალხმა, მრავალრიცხოვანმა მკითხველებმა დიდი ხანია თავიანთ პოეტად აღიარეს! და მე მთიანი დაღესტნიდან შენს კახეთში ჩამოვედი, რათა გულწრფელად გითხრა: შენ ჩვენი, დაღესტნის პოეტიც ხარ.

საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟ. შარტავამ დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ პოეტის სახელი ჩაწერილია საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში და იგი დაჯილდოებულია საპატიო ნიშნით „ლენინური კომკავშირი 60 წლისაა“.



მაღალი შეფასებისათვის, წაიკითხა რამდენიმე ლექსი.

დარბაზში ყოფილა ჩვენი კომპოზიტორების მიერ იოსებ ნონეშვილის ლექსებზე შექმნილი მუსიკა. მას ასრულებდნენ კომპოზიტორები, თბილისის თეატრების მსახიობები, ნორჩი ვოკალისტები. (საქინფორმი).

დაღესტნის სახალხო პოეტმა რასულ გამზათოვმა თეთრი დაღესტნური ნაბადი მოასხა იუბილარს — იოსებ ნონეშვილს.

ბ. ბოგოსიანის ფოტო.

ალზრდიან მომავალ თაობებს

თელავის ხახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი კახეთის ზონის სკოლებისათვის ყველა ძირითადი სპეციალობის მასწავლებლებს ამზადებს.

ყოველწლიურად იზრდება კახეთის ამ პოპულარული უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა რიცხვი, რომლის დღის, საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებაზე ახობით სტუდენტი სწავლობს.

ინსტიტუტის კაბინეტების, ლაბორატორიებისა და აუდიტორიების ტექნიკური მოწყობილობა შეცადინეობებს მაღალ დონეზე ჩატარების საშუალებას ძლევა.

სურათებზე: ფიზიკის ლაბორატორიაში მიმდინარეობს ექსპერიმენტი; თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის შენობა; ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ხ. ედიშერაშვილისა და ე. ეგნინის ფოტო, (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



სკოლა უსასყიდლოდ

ნარაზენის წის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი — ჯ. ქვანია) უსასყიდლოდ გადასცა ნარაზენის რუსულ საშუალო სკოლას ორსართულიანი კაპიტალური შენობა 34 საკლასო ოთახით. შენობა კეთილმოწყობილია, ამჟამად კეთდება ფეხბურთის, ფრენბურთის და კალათბურთის მოედნები.

სკოლა მთლიანად გადავიდა კაბინეტურ სისტემაზე. მეურნეობის დირექციამ შორს მცხოვრებ მოსწავლეთათვის გამოყო სპეციალური სამგზავრო ავტობუსი.

თავგანწირვა და მამაცობა

ადიდებულ მტკვარში...

შემოდგომის უკანასკნელი თვის საღამოა. ორმა ბიჭუნამ მეცადინეობის შემდეგ მტკვრის პირზენა სანაპიროზე გაისეირნა. მტკვარი მოღიდებულია, დიღმის ხიდთან ბიჭები ტალღებს ცნობისმოყვარედ დასცქერიან, ერთ-ერთ მათგანს მდინარის დინებამ თვალები აუკრელა, თავი ვერ შეიმაგრა და აქიფებულ მტკვარში გადავარდა. მეორემ ღრიალი მორთო. გააჩერეს მანქანები, მოირბინა ხალხმა, მაგრამ წყალში გადახტომას ვერავინ ბედავს.

განწირული ბიჭი ძველი ხიდის ბურჯს ჩასჭიდებია, სუსტი ხელები ვერ გაუძლებს და მდინარის დინება გაიტაცებს...

საჭიროა გიაბას თოკი მარცხენა სანაპიროსა და ბურჯს შორის. მცხოვრებლებმა თოკიც მოიტანეს, მაგრამ კაცია საჭირო, რომელიც ცურვით თოკს გიატანს და ბურჯს მოაბამს. ხალხს თბილისის მე-19 საღამოს საშუალო სკოლის მოსწავლე თხუთმეტი წლის რეზო გიგილაშვილი გამოეყო, თოკს ხელი დასტაცა და ადიდებული მტკვრის ზვირთებში გადაეშვა. ბაბუკს უჭირს თოკის დამაგრება, საცაა ძალა გამოელეოდა...

შეკრებილი ხალხი ხიდის მოაჯირს აწყდება, მაგრამ ვერაფერი ვერ მოუხერხებიათ, დიღმის ხიდთან უეცრად ორი ახალგაზრდა გაჩნდა, ერთ-ერთმა მათგანმა პალტო და შარვალი გაიხადა, ტანსაცმელი მოიქნია და ხიდიდან გადახტა. სწრაფად მიცურდა განსაცდელში ჩავარდნილებთან და თოკი ბურჯს მიაბა. ამ დროს სახანძრო რაზმიც გამოჩნდა. მათ რიგითი გ. ხორგუაშვილიც მიეშველა, რომელმაც უცნობთან ერთად პატარა მათე ნაპირზე გამოიყვანა.

— წყალში ვიყინები, ცურვა კარგად არ ვიცი, მეც მომეშველეთ, — ყვირის ჯებირთან დარჩენილი რეზო გიგილაშვილი.

უცნობი ახალგაზრდა კვლავ შებრუნდა წყალში და განსაცდელში მყოფ გაყინულ რეზოს ნაპირზე გამოსვლა უშველა.

პატარა მათე წყალზე დაცემის დროს დაშავებულიყო და სასწრაფო დახმარების მანქანამ მესამე ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში წაიყვანა, სადაც სასწრაფოდ გაუკეთეს ოპერაცია.

აკანკალებული უცნობი ახალგაზრდა, სველ ტახტზე შარვალსა და პალტოს რომ აცვამდა, მას ხალხი შემოეხვია და ვინაობა ჰკითხა. მან გაიღიმა, ხელი ჩაიქნია და ჩაილაპარაკა:

— რა საჭიროა, რა ვქენი ისეთი...

მეორე დღეს ეს ამბავი თბილისის სამხატვრო აკადემიის მეოთხე კურსის სტუდენტმა თამაზ კაკაბაძემ თანაკურსელებს უამბო. თურმე ის გაბედული ბიჭი ამავე აკადემიის მესამე კურსის სტუდენტი გია ბადურაშვილი ყოფილა.

გიამ ამ ზაფხულს, როცა პრაქტიკაზე კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში იყო, იქაც გაბედულება გამოიჩინა და ადიდებულ მდინარეს ბავშვი გამოსტაცა.

ბ. ლელაძე.

დიდ მწერალს მიეძღვნა

უდიდესი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის დაბადების 150-ე წლისთავს მიეძღვნა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალგაზრდულ კლუბში გამართული საღამო, რომელიც ინსტიტუტის ქართული და რუსული ენების კათედრებმა მოაწყეს.

საღამოზე ინსტიტუტის სტუდენტების და მასწავლებლების მონაწილეობით წარმოდგენილი იყო ლიტერატურული მონტაჟი. იგი ასახავდა დიდი რუსი მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მის ფილოსოფიურ შეხედულებებს. სცენაზე სიტყვას ლ. ტოლსტოის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი კინოფილმების კადრები ეჩაცვლებოდა.

წარმოდგენილ იქნა ფილმების „ომი და მშვიდობის“, „ცოცხალი ლეშის“, „ანა კარენინას“, „აღდგომის“ ნაწყვეტები, აგრეთვე დოკუმენტური ფილმი „ლევ ტოლსტოი — ჩვენი თანამედროვე“.

ლიტერატურულ მონტაჟში სტუდენტებთან ერთად თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობებიც მონაწილეობდნენ.

მ. აიდარაშვილი.

გმირის უკვდავება

1921 წლის 16 თებერვლის ღამეს, როცა წითელი არმიის მეთვრამეტე ცხენოსანთა დივიზიამ, აზერბაიჯანზე გავლით, პირველად ფეხი საქართველოს მიწაზე, წითელწყაროს რაიონში დადგა, თეთრგვარდიელებთან და მენშევიკებთან პირისპირ შეტაკებისას გმირულად დაიღუპა სამოქალაქო ომის ლეგენდარული მეთაური, მეთვრამეტე ცხენოსანთა დივიზიის უფროსი პეტრე ვასილის ძე კუროშკო. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე, სამოქალაქო ომის ლეგენდარულ მეთაურს პეტრე კუროშკოს ძეგლი აუგეს.

ჟამთა სვლამ დღის წესრიგში დააყენა კუროშკოს ძეგლის შეცვლა. ამ დღეებში გაიმართა ძეგლის გახსნა.

კუროშკოს ძეგლის გახსნაზე მოვიდნენ რაიონის მშრომელები, პარტიული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სტუმრები მეზობელი რაიონებიდან და თბილისიდან.

ძეგლი, რომლის ავტორები არიან ო. მელიქიშვილი, ა. კიკნაველიძე, ვ. ფეტეიაშვილი, შემსრულებელი — რაიონის არქიტექტორი ვ. ბაცაცაშვილი, საზეიმო ვითარებაში გახსნა საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა თ. გოქსაძემ.

ძეგლის გახსნას ესწრებოდნენ კუროშკოს სამშობლოს — აზოვის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები, სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის მდივნის ვ. ოლეფერენკოს მეთაურობით.

ვლ. მჰედლიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ხალხური ტალანტები

ონი. ონის რაიონულ კულტურის სახლში გაიმართა რაიონის საკლუბო დაწესებულებების აგიტმხატვრული ბრიგადების დათვალიერება, მიძღვნილი ლენინური კომკავშირის 60-ე წლისთავისადმი. დათვალიერებაზე წარმატებით გამოვიდნენ ონის, ირის, სორის, საკაოს, წედისის, უწერის მხატვრული კოლექტივები.

დათვალიერებას გამოავლინა ბევრი ნიჭიერი შემსრულებელი.

ნ. დუშუაშვილი.

სპორტი

გამარჯვებულნი დაგრუნდნენ

20 ნოემბერს გვიან საღამოს თბილისში ჩამოვიდნენ ბუენოს-აირესში გამართულ მე-8 საკადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებულნი — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი** და **ნანა ალექსანდრია.** სპორტსმენებმა მოსკოვში დააყოვნეს მსოფლიოს ჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძე.**

თბილისის აეროპორტში მოჯადრაკეებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. ნანა ალექსანდრიამ კორესპონდენტებს განუცხადა:

— ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ კვლავ დავიცავით საბჭოთა ქალთა საკადრაკო სკოლის მოწინავე პოზიციები. გამარჯვება მნიშვნელოვანი იყო. არ წაგვიგია არცერთი მატჩი და წინასწარვე მოვიპოვეთ ოლიმპიადის ჩემპიონთა წოდება. იმ დღეებში ბუენოს-აირესში მოხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში. ფიდეს კონგრესმა ნონა გაფრინდაშვილს მიანიჭა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება ვაჟთა შორის. (საქინფორმი).

ფეხბურთი

საბჭოთა ნაკრები იაპონიაში

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები, რომელიც იაპონიაში იმყოფება, ტოკიოში ოლიმპიურ სტადიონზე შეხვდა ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს და გაიმარჯვა — 4:1. ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა. ეს მოხდა თამაშის მეოთხე წუთზე, როცა ფუძეგუტმ აიღო სტუმართა კარი. ამის მერე ინიციატივას დაეუფლნენ საბჭოთა ფეხბურთელები. მე-17 წუთზე დარასელიამ კარგად გამოიყენა ხიდიატულინის მოწოდებული ბურთი და ანგარიში გაქვითა — 1:1. შემდეგ გაზაევმა ორჯერ დააწინაურა საბჭოთა ნაკრები (37-ე და 43-ე წუთებზე).

მეორე ტაიმში გავრილოვმა მასპინძელთა კარში მეოთხე გოლი გაიტანა.

სსრ კავშირის ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **დეგტიარიოვი (რომენსკი), პრიგოდა, ფუპაკოვი (კოტკავა), მახოვიკოვი, ბუბნოვი, ბერეზნოი (გავრილოვი), ხიდიატულინი, ბესონოვი, დარასელია, ყიფიანი, გაზაევი.**

მოსკოვის „დინამო“ ინგლისში

მოსკოვის „დინამომ“ ინგლისში მესამე ამხანაგური მატჩი გამართა. ამჯერად დინამოელები ბელფასტში შეხვდნენ „ლინსფილდს“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0. მანამდე საბჭოთა ფეხბურთელებმა ფრედ ითამაშეს „ბრისტოლთან“ (0:0), ხოლო „ჩელსი“ დაამარცხეს (2:1). მომდევნო შეხვედრის მოსკოველები შოტლანდიის „აბერდინთან“ გამართავენ.

კალათბურთი

ტურნე ამერიკაში

სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა თავისი ამერიკული ტურნეს კიდევ სამი მატჩი გამართა: ქალაქ აიოვა-სიტის გუნდთან დამარცხდა ანგარიშით 64:76, ინდიანას შტატის გუნდთან — 79:83, ხოლო კანზასის უნივერსიტეტის კალათბურთელებთან შეხვედრაში გაიმარჯვა — 87:84. ჩვენმა კალათბურთელებმა ამერიკული ტურნეს დროს გამართული 12 მატჩიდან 8 მოიგეს და 4 წააგეს.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ჩვენი ცნობარი

1966 წლის სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი

ქალაქ კუიბიშევში 1978 წლის 15 ნოემბერს გამართული 99-ე მოგებათა ტირაჟის

ცხრილი

მოგება ხვდა სესხის სამოცდათვრამეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგების ოდენობა მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგების ოდენობა მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგების ოდენობა მანეთობით
100539	44*)	500	130314	01*)	500	169273	45*)	500
100767	09*)	2500	130588	45*)	500	170518	29*)	500
101098	31*)	500	130906	37*)	500	170760	25*)	500
101499	49*)	500	131050	1—50	100	171671	25*)	500
102209	35*)	500	132599	19*)	1000	173796	30*)	500
102418	29*)	2500	133451	15*)	500	173809	21*)	500
102576	1—50	100	133822	05*)	500	173906	1—50	40
102883	19*)	500	134442	1—50	40	175120	37*)	500
103146	21*)	500	134479	24*)	500	175756	33*)	500
103170	43*)	500	134960	15*)	500	176085	1—50	100
103962	43*)	500	136035	27*)	500	177080	47*)	500
104845	32*)	500	136484	43*)	1000	178060	47*)	500
105697	1—50	40	139076	1—50	40	178549	1—50	40
106282	10*)	500	139167	1—50	100	178729	05*)	1000
106807	1—50	40	139403	1—50	40	178962	15*)	500
106857	01*)	1000	140839	33*)	5000	179083	17*)	500
107421	16*)	500	141598	34*)	500	179316	12*)	1000
107728	1—50	40	143013	29*)	500	179667	1—50	40
108044	31*)	2500	143669	14*)	1000	179831	20*)	500
108205	32*)	500	144169	1—50	100	180116	11*)	500
108819	1—50	40	144342	10*)	500	180282	22*)	500
10931I	27*)	500	144635	28*)	500	180565	1—50	100
110725	28*)	500	145424	32*)	500	180797	1—50	40
110894	48*)	500	146157	1—50	40	180910	26*)	500
111003	50*)	5000	146523	18*)	500	181442	06*)	1000
111433	24*)	500	146545	34*)	1000	181530	48*)	500
111679	16*)	500	146776	46*)	2500	183126	23*)	500
112321	1—50	40	147846	42*)	500	183530	03*)	500
112612	1—50	40	148335	33*)	500	183992	41*)	500
113125	13*)	2500	149213	1—50	100	184318	09*)	500
114831	1—50	40	149615	1—50	40	185484	33*)	1000
115226	22*)	500	149656	42*)	500	186087	13*)	500
115255	22*)	1000	150801	1—50	40	186412	15*)	500
115869	33*)	500	151606	32*)	500	187025	1—50	40
117181	45*)	500	151946	41*)	500	187162	37*)	500
117301	26*)	500	152175	39*)	1000	187298	1—50	40
117776	23*)	500	152413	1—50	40	188332	1—50	40
118030	06*)	500	152808	24*)	500	188408	1—50	40
118155	26*)	500	153026	21*)	500	188515	24*)	500
118265	49*)	500	153813	02*)	500	189451	50*)	500
118505	30*)	1000	155127	11*)	1000	189551	33*)	500
119056	1—50	100	155378	08*)	500	189696	37*)	500
119141	08*)	500	156291	38*)	1000	189737	06*)	500
119733	1—50	40	156497	36*)	500	189870	18*)	500
119834	44*)	500	157181	06*)	500	190566	1—50	100
120237	50*)	500	158171	1—50	40	191088	35*)	500
120566	1—50	100	158231	14*)	1000	191672	26*)	500
120898	1—50	40	159133	50*)	500	192208	1—50	40
121676	07*)	500	159683	1—50	40	193789	31*)	1000
122467	1—50	40	160147	22*)	500	194276	02*)	500
123593	36*)	500	160205	41*)	500	195412	1—50	40
124898	1—50	100	161748	1—50	40	195695	17*)	500
125267	1—50	40	162774	27*)	1000	195901	29*)	500
125289	38*)	500	162791	1—50	100	195948	1—50	40
125627	12*)	500	163046	04*)	500	196120	26*)	1000
126137	33*)	1000	163201	05*)	500	196133	23*)	1000
127062	15*)	500	163615	28*)	500	197235	50*)	500
128245	47*)	500	164620	05*)	500	197800	1—50	100
128736	03*)	500	165061	1—50	100	198579	45*)	500
129054	31*)	500	167011	40*)	500	199257	1—50	40
129573	1—50	40	167263	1—50	40	199332	1—50	100
129650	19*)	500	167375	17*)	500	199353	47*)	500
129955	1—50	40	168448	1—50	40			

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თითოეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

ათმანეთიანი ობლიგაციებით გაიცემა მოგების ნახევარი. მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე — კუიბიშევის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. ა. რუსოვსკი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. პ. ფსინა.

1978 წლის 24-25 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართება პირველი რესპუბლიკური სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც ეძღვნება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების **რაციონალური გამოყენების პრობლემებს.**

სხდომის დასაწყისი დილის 12 საათზე (და არა 10 საათზე, როგორც იყო გამოცხადებული).

კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაცია იწყრმოებს დილის 11 საათიდან 11 საათსა და 45 წუთამდე სხდომათა დარბაზის ფოიეში.

ცნობებისათვის მიმართეთ ტელეფონთ: 99-52-58, 99-09-66.

ტელევიზია

22 ნოემბერი

პირველი პროგრამით

17.30 — კინონარკვევი, 17.40 — შეკვისწავლოთ გერმანული ენა, 18.10 — განცხადებები (ფერადი), 18.15 — — მოსწავლეთათვის — „მე კომკავშირელი ვარ“ (გამეორებით), 18.55 — კინოეურნალი, 19.05 — „ვმართოთ ხარისხი“, 19.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.50 — „ვერნისაჟი“ (ფერადი), 20.20 — კონცერტი „ახალგაზრდების ხელოვნება“ (გამეორებით. ფერადი), 21.00 — „მოამბე“ საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — „სპორტული მიმოხილვა“, 22.00 — „ვრემია“ (მოსკოვიდან), 22.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე — ქართული მხატვრული ფილმი „ქვიშანი დარჩებიან“ (ფერადი).

მეორე პროგრამით

18.00—სტუდენტთათვის — მასალათა გამძლეობა (ფერადი), 18.45 — განცხადებები, 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმები, 19.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ტადას ბლინდა“. I სერია, 20.50 — დოკუმენტური ფილმი „ალიბეგის ჯიგიტები“.

თეატრი

22 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ჯადოსნური ფლეიტა; შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კავკასიური ცარცის წრე; კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ძველი ვალსი; ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩარლის დეიდა.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი



აცხადებს 1979 წლისათვის სტუდენტთა მიღებას წარმოებას მოუწყვეტლივ დაუსწრებელი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. **აგრონომია** — ქართული და რუსული სექტორები, მათ შორის ა) **აგრომელიორაცია** (სპეციალიზაცია) — ქართული სექტორი;
2. **მეხილეობა-მებოსტნეობა და მევენახეობა** — ქართული სექტორი;
3. **სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაცია** — ქართული სექტორი;
4. **ბუღალტრული აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში** — ქართული სექტორი;
5. **სოფლის მეურნეობის მექანიზაცია** — ქართული და რუსული სექტორები;
6. **სატყეო მეურნეობა** — ქართული და რუსული სექტორები.

სასწავლებლად მიიღებიან საშუალო და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე პირები, რომლებიც მუშაობენ სასწავლებლად არჩეული სპეციალობებით.

ინსტიტუტში შემსვლელნი მიიღებ აბარებენ:

ა) აგრონომიულ (მათ შორის აგრომელიორაციის სპეციალიზაცია) მეხილეობა-მებოსტნეობა და მევენახეობის სპეციალობებზე: ბიოლოგია (ზეპირი), ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი);

ბ) სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციის და ბუღალტრული აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში სპეციალობებზე: მათემატიკა (წერა),* ბიოლოგია (ზეპირი), გეოგრაფია (ზეპირი);

გ) სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალობაზე: მათემატიკა (წერა)*, მათემატიკა (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი);

დ) სატყეო-მეურნეობის სპეციალობაზე: მათემატიკა (წერა),* ფიზიკა (ზეპირი), ქიმია (ზეპირი).

ინსტიტუტში ყველა შემსვლელი აბარებს წერითს გამოცდებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ქართულ სექტორზე და რუსულ ენასა და ლიტერატურაში — რუსულ სექტორზე) თხზულების სახით. ოქროს (ვერცხლის) მედალსნები და საშუალო სპეციალობის სასწავლებლის კურსდამთავრებულები, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, გამოცდას აბარებენ მხოლოდ იმ საგაწმი, რომელიც აღნიშნულია ვარსკვლავით. ამ საგაწმი უმაღლესი („ხუთი“) შეფასების მიღების შემთხვევაში, ისინი თავისუფლდებიან სხვა საგნებში გამოცდებისაგან, ხოლო „ოთხი“ და „სამი“ შეფასების მიღებისას, აბარებენ გამოცდას ყველა შესაბამის საგანში.

მისაღები გამოცდები გაიმართება სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ 1978 წლისათვის დამტკიცებული პროგრამისა და მიღების წესების შესაბამისად. საკონკურსო შერჩევა მოხდება სპეციალობების მიხედვით.

განცხადება სასწავლებლად შემოსვლის მსურველებს შემოაქვთ რექტორის სახელზე. განცხადებას დაერთვის:

1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი); საშუალო-სპეციალური განათლების მქონე პირები წარმოადგენენ აგრეთვე დიპლომის დანართს,
2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად დამოწმებული წარმოება-დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ,
3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მომუშავეთათვის),
4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286),
5. ოთხი ფოტოსურათი (ზომა 3X4 სმ).

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედროვალდებულნი) ან მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირი).

შემსვლელნი უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან წარმოადგენენ დახასიათებას, რომელსაც ადგენენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, წარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა გამგეობები. იმ პირებს, რომელთაც არა აქვთ პრაქტიკული მუშაობის ორი წლის სტაჟი, შეუძლიათ წარმოადგინონ დახასიათება იმ სკოლებისა და სხვა სასწავლებლების ხელმძღვანელთაგან, სადაც ისინი სწავლობდნენ. ის პირები, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა, აგრეთვე შემსვლელნი იმ სპეციალობებზე, რომლებიც შეესაბამება მათი საშუალოს ხასიათს სახალხო მეურნეობაში, განცხადების შეტანისას აგრეთვე წარმოადგენენ ამონაწერს შრომის წიგნაკიდან, დამოწმებულს წარმოების ან დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ გამომუშავების დაწესებული მინიმუმის ჩვენებით.

განცხადებები მიიღება 1979 წლის 15 იანვრამდე (ყოველ დღე, გარდა კვირისა) 14 ს. 30 წ. 18 საათამდე.,

მიხალები გამოცდები დაიწყება 17 იანვარს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმდინარე კომისიაში.

ჩვენი მისამართია: თბილისი, საქართველოს სამხედრო გზის მე-13 კმ.

საქართველოს სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ტელეფონი 51-92-38. ავტობუსი №№ 27, 54.

კომუნისტი ჩვენი მისამართი და ტელეფონები

ბიბლიოთეკა-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-08 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80. სამდივნოსი — 99-66-10. განყოფილებებისა: პარტიული —99-87-61. პროპაგანდის — 93-22-93. მრეწველობის — 93-20-34. სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70. მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურის და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21. წერილების — 99-73-34 ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

უე 02304

საქართველოს კომპარტიის ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.